



კარიკატურებიანი ჟურნალი 1907—1908 წ.წ.



- ხუმარა
- ოხუნჯი
- ცეცხლი
- მასხარა
- ზურნა
- ეკალი
- ბზიკი



*Handwritten notes in red ink:*  
 სეი ხიბუმი  
 1907 წ.წ.  
 5/25

# ბზივი


№ 1

„ბზივი“ იუმორისტული წერილების კრებულია. რედაქცია თხოვს თანამშრომლებს, გამოგზავნონ მასალები შემდეგი ადრესით: **Контора о-ва „Ахалпшени“ на дворцовой ул. домъ дворянства № 126, С. Гачечиладзе.**

1907  
107

ვთხოვთ მაკაროვის ადგილებში იმ ხელის მომწერო, ვინც ჩვენი განცხადების სიაში მოექცა, თუ ვინმეა ამ სიაში ჩაწერილი უძრავი ქონების პატრონი, ან სხვის სახელზე აქვს ხელი მოწერილი, ან შეძლებულია, გვატნობონ წერილობით მაი სახელი და გვარი. ჩვენ უნდა მივსცეთ უპირატესობა უბინაო და თფილისში უმამულო მუშა ხალხს—ასე გვქონდა გამოცხადებული „სუმარაში“.

ამბ. „ახალშენი“.



ჯიბგრების ოინი.

## ჩამი თავგადასავალი.

ერთ ქუჩაზე მივიდიდი, წინ შემომხვდა პატრულები; გამიჩხრიკეს ჯიბები— შეიქნენ გულ ნაკულულები.

მეორეში გადავედი, შემეფეთა ბოქაული,

დამიყვია: „რუკი ვერბო!“ კილამ გამეპარა ხული.

უბნის ზედამხედველი მჩხრეკს, კონდახით მცემს „გოროდოვი“, „პოპოზნიკი“ ცხვირში მირტყავს: „ვინ ხარ? შვილი, ძე, თუ ოვი!“

როს გაიგეს ვინაობა, წამატორის „უზასტკანი“;

პროტოკოლი შეადგინეს, ბევრიც მირტყეს კეტი თავში.

დამამწყვდიეს ბნელ საკანში; იქ მამყოფეს საში ღამე. მეოთხე დღეს ბოქაულმა მკითხა მხოლოდ საში რამე?

ესდეკი ხარ— ჩამოგახრჩობთ, ესერი ხარ— დავგვრეტავთო, პატრიოტი თუ ბრძანდები, ჩვენს სიაში ჩაგვხედავთო.

გადასინჯეს „სპისოკები“, ეს ეკებში ვწერებდვარ, „პრაპაგანდას“ ვინ მაკმარებს, „ტერორებში“ ურვევიარ“.

მომაცოლეს მატრახები ურკინო და რკინიანი; მცემს „პრისტავი“, მცემს „სტო-ულოფო და ხიშტიანი. | როკი“;

თავი მიკრეს კამენდატში აქაც მგვემეს, მტანჯეს, მცემეს; მარწუხებით ხორცსა მგლეჯდენ და შავი ღლე დამაყენეს.

ეხლა ვზივარ ციხეშია; არ მაკლია სმა და ქამა. ვითამ ამით უშაშინონ?! ისე უტხონდებათ მამა!!!

ონიშიმ.

**სჯულდება დიდისა მის სტალიპინისა ზღუდესა მას პეტრეს ქალაქისასა.**

ღ განხდა ბრძანება კეისრისა პირსა ყოვლისა ქვეყნისასა, რათა შემოკრებენ პეტრეს ქალაქის ზღუდესა კილით კილითაგან ყოველნი რჩეულნი ერისანი მოსვენათ სჯულისა მის, რომელი მოსცნა მათ კეისარმან და უბრძანა აღსრულებად მისსა. ხოლო ერმან მან წარგზავნა მუნ რჩეულნი თვისნი და მისცნა მათ სჯული თვისი, რათა აღასრულონ სიტყვა იგი წინასწარმეტყველისა, რომელსა იტყვის: „აჰა ესერა წარგვლენთ თქვენ, რათა მოიმოწაფოთ და მწყსოთ ერი თქვენი და ნათელს სცეთ მათ სახელითა რევოლიუციისათა და სოციალიზმისათა და რესპუბლიკისათა, რამეთუ უსჯულოება ქურუმ-მთავარია მათ და მსახურთა ეშმაკისათა აღმატენს თავთა ჩვენთა და აღივსო ქვეყანა ესე სისხლითა და ცრემლითა.“ ხოლო მორავედეს რა რჩეულნი იგი ზღუდესა მას აღთქმისასა, რომელსა ეწოდებეს პეტრეს ქალაქათ და შემოკრებეს სახლსა მას სახელით „დუმისასა,“ რომელ არს თარგმანებით „ქონი,“ კაცი ვინმე ქურუმთ მთავოთაგანი, რომლისა სახელი სტალიპინ აღიდა თხემისა აღვილსა, აფრქვევდის ბაგეთაგან ცეცხლსა და ხმითა საყვირისათა ეტყვიდის რჩეულთა მათ: „რად აღირძენთ წარმართნი და ერმან იძრახა შური?“ ხოლო რჩეულნი იგი სდუმდეს და მჯდომარენი ვითნიმე მარჯვენით, ვითნიმე მარცხენით და ვითნიმე პირისპირ თხემისა აღვილსა, რომელსა ეწოდებეს „ცენტრი,“ უსმენდეს ქურუმთ მთავარსა მას და რაემს ქურუმთ მთავარი მოსცემდა მათ მცნებასა ათსა, ეპყრიეს ხელთა თვისთა მცნებისა ფიცარნი და სჯულსა კეისრისასა უპირდაპირედენ სჯულსა თვისსა. ხოლო რაემს ქურუმთ მთავარი აუწყებდა რჩეულთა ნებასა კეისრისასა, განერთხნა ჳერი დუმისა მის და ანგელოზნი არა წმიდანი ხითხითებდენ მათ ზედა და ესრეთ ვანრიხებულნი დიდი იგი სტალიპინი ვითარცა ბუკი და საყვირი ღაღადებდა:

I მე ვარ უფალი მინისტრ-პრემიერი თქვენი და არა იყენენ თქვენდა პრემიერნი უცხონი ჩემსა გარეშე.

**მემარჯვენენი:** ამინ და კირიელისონ!  
**მემარცხენენი:** არა ეციოთ პრემიერნი, გარა პრემიერენტისა!

**კადეტები:** უმჯობეს არს ჩაქოლვა ჩვენი, ვიდრედა დაკარგვა პორტეველებისა და არა ღირს ყოფად მისსა.

II არა ქმნეთ თავისა თვისისა კერპი, არცა ყოვლადვე მზავისი, რადენი არს საფრანგეთსა შინა პარლამენტ და რესპუბლიკა, არა თავყვანი სცეთ მათ და

არცა მსახურებდეთ მათ.  
**მემარჯვენენი:** თვინიერ სამფეროვანი ღროშისა.

**მემარცხენენი:** თვინიერ წითელი ღროშისა.  
**კადეტები:** თვინიერ 17 ოქტომბრის მანიფესტისა.

III არა მოილოთ სახელი უფლისა-თვითმპყრობელისა თქვენისა ამაჲს ზედა.  
**მემარჯვენენი:** გარნა პაგრომის მოწყობისა.

**მემარცხენენი:** არა გვივის ჩვენ თვითმპყრობელი და არცა ვეფუცეთ სახელსა მისსა.  
**კადეტები:** სთქვა უგუნურმან გულსა შინა თვისსა: არ არს თვითმპყრობელ.

VI მოიხსენეთ დღე იგი 17 ოქტომბერი და წმიდა ჳყავთ იგი. I მაისსა იქმოდეთ და ჰქმნეთ მას შინა ყოველივე საქმე თქვენი, ხოლო დღე იგი, 17 ოქტომბერი არს უფლისა თვითმპყრობლისა ჩვენისა.  
**მემარჯვენენი:** ბელოსტოკის, კიშინევის, კრონშტადის, ოდესის და ყოველივე „ბოგრომები“ წმიდა იყავნ, ვითარცა მამა ჳეტეირი.

**მემარცხენენი:** 9 იანვარი, 29 აგვისტო, 22 ოქტომბერი, 18 დეკემბერი, მოსკოვის აჯანყება და ყოველივე რევოლიუციონური გამოსვლა იყავნ უქმ და დღესასწაულს, ვითარცა შობა და აღდგომა.  
**კადეტები:** ყოველივე უმაღლესათ ნაბოძები უქაზების დღენი იყავნ დატულ და ჳგიენ ქეშმარიტათ.

V ჰატე ვეით თვითმპყრობლობასა ჩვენსა და სისხლის სამართალსა ჩვენსა, რათა კეთილი გეყოს თქვენ და დღეგრძელ იყოთ ქვეყანასა ზედა.  
**მემარჯვენენი:** რომელსა ახსენ ყურნი სმენად—ისმინენ.

**მემარცხენენი:** ჳატევის ვცემთ რევოლიუციასა, სოციალიზმსა და რესპუბლიკასა.  
**კადეტები:** თავყვანი ესცემთ 17 ოქტომბრის მანიფესტსა და პორტეველთა მინისტრისათა.

VI არა კაც ჳკლათ.  
**მემარჯვენენი:** გარნა „კრამოლნიკებისა.“  
**მემარცხენენი:** გარნა ხულიგანთა და პოლიციელთა.  
**კადეტები:** ყოველივე მკვლელობა იყავნ წყვეულ და კრულ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

VII არა იპაროთ!  
**მემარჯვენენი:** თვინიერ კრამოლნიკთა ქონებისა.  
**მემარცხენენი:** თვინიერ ავითაცია-პრაპაგანდისა.

**კადეტები:** თვინიერ პორტეველებისა. VIII არა იბრუშოთ!  
**მემარჯვენენი:** თვინიერ კრამოლნიკთა ცოლთა და ასულთათანა.

**მემარცხენენი:** თვინიერ ფრეილინათათანა.  
**კადეტები:** თვინიერ უმაღლეს წრის ბანოვანთა ასულთა და ცოლთა თანა.

IX არა ცილი სწამოთ მთავრობასა ჩვენსა წამებითა ცრუთათა.  
**მემარჯვენენი:** სიმართლესა და მართლმსაჯულებასა მთავრობისა ჩვენისა ვხადოდეთ ყოველნი ერნი ქვეყანისანი.

**მემარცხენენი:** ვიტყვით ესერა ქეშმარიტებასა, რამეთუ იფლანგვის საცხოვრებელი ერისა და ინთხევის სისხლი უბრალოთა, რომელსა არა უჩნს დასასრულ.

**კადეტები:** უმაღ დადუნდეს ენა ჩვენი და მოსწყდეს სიცოცხლე ჩვენი, უკეთუ განვიზარახოთ მთავრობისა ჩვენისა ძვირი.

X არა გული ვითქვიდესთ დიკტატურისათვის ხელში ჩაგდებისა, არა გული ვითქვიდეთ მოსპობისათვის თვითმპყრობლობისა ჩვენისა მთავრობისა, არცა მოსპობათ სასახლის ხარჯთა მისთა, არცა ბიუჯეტისა მისისა, არცა სამხედრო-საველე-სასამართლოისა მისისა, არცა მხედრობისა მისისა მილიციით გარდაქმნისათ, არცა ფრეილინათა მისთა ცოლათ შერთვისა და არცა ყოვლისა მისთვის, რაიცა აქვნდნ მთავრობასა ჩვენსა და კაპიტალიტათა დიდისა და წმინდისა რუსეთისათა.

**მემარჯვენენი:** რომელსა აქენდეს მიეცეს და მიემატოს, ხოლო კრამოლნიკთა და ებრაცელთა მათ მიეღოს ქონება მათი და მიემატოს ხაზინასა ჩვენსა უჭიროსა.

**მემარცხენენი:** არა მხოლოთა „დუმითა“ მოხდების განძლომა ჩვენი, არამედ განვეცადნეთ, მძანო ჩვენო, დარღვევით სჯულისა ამის ჩვენთვის მანებელისა.

**კადეტები:** პორტეველნი მინისტრისანი მოგვეც ჩვენ დღეს და მოგვიტევენ ჩვენ თანანადენნი ჩვენნი ვიბორგუსა შინა მომხთარნი, რამეთუ დღეს შენთანა ვართ და ღირს გვეყვენ სასუფეველისა შენისა ხილვათ.

და ვიდრედა იტყოდენ ამას მუნ მჯდომარენი რჩეულნი და ქურუმთ მთავარი, ვანრისხდა უფალი მათი და გარდამოუვლინა მათ რისხვა თვისი—მოიქცა ჳერი იგი „დუმისა,“ დანგრევით და განერთხნა იტაკსა ზედა. ხოლო არავინ არა იქმნა მოკლულ და მეორესა დღესა სამადლობელსა პარაკლისსა გადხიდიდეს რჩეულნი განსვენებულთანი და ეშმაკნი ანგელოზისა სახითა უკმედენ მათ გუნდრუქსა და აღიდებდენ თვითმპყრობლობასა თვისსა თესლითი თესლამდე.

**გაუმთავრის თათბირი.**

მინდორია, კაკლის ძირას  
თათბირი აქვთ ბაზეთებსა—  
ვინ ვის უწყევს სამსახურსა  
და ან ვინ რას აკეთებსა.

**ლახვარი:** მო, შემოკობით ძმანო, ჩემნო,

ყური უგდეთ ამ ამბავსა;  
ყველამ საითათათა ვსთქვათ,  
რაც გადაგებდა ამ წელს თავსა.  
მე ბავშვი ვარ. მამაჩემი  
მსახურებდა სინათლესა,  
მაგრამ მისი ყოფა-ქცევა  
ჯაშუშებმა გაიგესა,—  
დაასმინეს მმართველ ხალხთან,  
რომ სინათლე „ბუნტიაო“  
და იმისთანა სანთელი  
მარტო მუშებს უნთიაო!  
მამიჩემის სახლი, კარი,—  
ყველაფერი გადაზხრიკეს  
და რაღაცა ბოიკოტი  
იმ ოხერში გამოზხრიკეს.  
და ორ დღეში საწყალს სული  
პირში აღარ დაუყენეს,  
შეკრეს თოკით და საბრალო  
თვის წინაპრებს გაუყენეს!..  
მამაჩემმა მიანდრძა,  
რომ მეც გაყვე იმის კვალსა  
და, რაც გინდა მომივიდეს,  
ეუმსახურო სამართალსა.  
ესეც მიხბრა, რომ ორ წელში  
ორმოცამდე ჩვენი გვარი  
სიმართლისთვის ჩამოახრჩვეს  
და ჩემს მეტი არ ვინ არი,  
რომ დაიცვას ჩვენი სისხლი,  
თან მუშების ინტერესი.

აჲ მეც მამის ანდრძის ვიცავ,—  
დღე და ღამე მათთვის ვცნენსი.  
**ისარი:** მართალი ხარ! ბევრი შენი  
წინაპარი აცევს ჯვარსა  
და არც თუ ჩვენ გადაურჩით  
უსამართლო სამართალსა!  
მაგრამ შენთან შედარებით  
ჩვენში მხოლოდ სამი მოკლეს  
და მეც ვშიშობ, რომ მათსავეთ  
უცებ დღე არ დაზიმოკლდეს.  
აქეთაც ვარ, იქითაც ვარ,  
არც მწვადსა ვწვამ, არც შამფურსა  
და ამგვარი მელაობით  
ვბოვებ სახრდოს, დღიურ პურსა!..

**მიწა:** ძმობილებო! მე რაღა ვსთქვა?  
ან კი რა მაქვს მე სათქმელი?  
უსუსური, პატარა ვარ,—  
შემისრულდა ერთი წელი!  
მამა ჩემი „გლეხი“ იყო—  
თხოულობდა მხოლოდ მიწას;  
ეს გაუგეს ჯაშუშებმა  
და საბრალო მოსვენს იმ წამს.  
დღეს მეც მამის ანდრძის დავდევი;  
მიწა არის ჩემი მცნება;

მაგრამ მიწას არეინ მაძლევს,  
მიტრუფდება მთლით ოცნება!..  
**ზაკაკაზი:** სანამ პირში სული მიდგა  
არ გადუხვეუ მე ჩემ გზას;  
არ ვაფასებ სხვის ქორ-ხრიკებს,  
არც თქვენ გეტყვით ჩემს ამბავსა.  
მართალია, მე ჩვენ გვარში  
მგონი მეორმოცე კი ვარ  
და არც ჩემს თავს, არც თუ სხვისა  
არაფრათაც არ ვარგვივარ!  
მაგრამ თუ რომ გამიქირდა  
და შევტყე საფრთხე მელის:  
პოლიციას ქებას ვასხამ  
და კარს ვუღებ სასუფეველის.

**თფ. ფურცელი:** მე გახლავარ ნეიტრალი,  
პოლიტიკას არ ვმსახურებ;  
არც თუ მიზნათ დამისახავს,  
რომ „კრამოლას“ ჩავაჩუქებ!  
რას მიქვიან პოლიტიკა?!  
მე რას მარგებს თქვენნი ბუკობა!  
მიზანია ჩემი—ფული,  
იღვია—ორქოფობა.  
მე მომიტებით: „გორინჩენი“  
„კუხარკები“ და „ბონები“,  
დანჯღრეული „პიანინო“,  
„ღუხები“ და საბონები.

**აკაკაზი:**—მე რათ მინდა კრამოლების  
უცნაური მოძრაობა?  
არათ მიღირს კაცის სისხლი,  
მეამბოხის ოჯახობა!..  
მე ვმსახურებ „ბიურაკატებს“,  
ჩინებს, „ტემლას“, „ორდენებსა“  
და, თუ ვინმე გამაჯავრებთ,  
ყველას ერთათ მოგასპობთ დღესა!..  
მამაჩემი—„ასობა“  
ბიძაჩემი ღენერალი—  
და, თუ ვინმე შეუტრაცხყოფთ,  
ვაი მაშინ თქვენნი ბრალი!

(გამოჩნდება) **გოლოს კაკაზა:**“  
ვერ უყურებთ ამ საზიზღრებს,  
როგორ თავი მოუყრით  
და დღეს ჩვენი კანონები  
სასაცილოთ გაუხდით?  
როგორ ბედავთ, თქვე ბრყივებო,  
უკანონო კრებას მართავთ  
და „კაკაზსა“ ჩემ ძმათ ნაფიცს,  
უშვერ სიტყვას რომ უბედავთ?!  
ჰე, შიკვებო, „ხულიგნებო“,  
ჯაშუშებო, აქეთ მალეთ!  
აბა ჩქარა—ყველა ამათ  
ზურგს მათრახი მიაცოლეთ!..  
(აქ კი ჩვენი ვახუთები  
თითო-თითოთა იბაწვრინან  
და ჩვენ დროში ყველა ამას  
სამართალსა ეძახიან!)

ჩვენი „ბუიკი“ თანაურძნობს  
ვახუთების ბედ-იღბალსა  
და შორიდან გაიძიხის:  
„ვაი ამ გვარ სამართალსა!..“

„დღეს თუ ხეაღე მეც მომეღოს  
„ჩამოხრჩობა ან დახერცა,  
„რადგანც თავის სიკვდილათა  
„დღეს არაინ აღარ კვდება!..“  
ონიმიზ.

**სხარტულუბი.**

**პოლიციაში.**

**ბოქაული:** ჰა!.. ეხლა შენ თავისუფალი ხარ? გისურვებ, შემდეგშიც პატიოსნათ გეცხოვროს.

**ბოსიაკი:** გამადლობთ, ჩემო ბატონო! გისურვებთ იმასვე თქვენც.

— შენ, მგონია, ნამდვილი პასპორტი არა გაქვს?

— არა, ბატონო, პასპორტი ნამდვილი და კანონიერიც მაქვს, მაგრამ ჩემი კი რა მოგახსენოთ.

— არა გრცხვენია: მიძინარს საათი ამოართვი?  
— დამენანა, ბ-ნო, ვალეიძება.

**სასამართლოში.**

**მსაჯული:** უფალო კიტრატე, თქვენ გაბრალდებენ საათის ჯიბიდან ამორთმევას!.. სთვლით თქვენს თავს დამნაშავეთ, თუ არა?

**ბრალდ.** შეტვლომით მომივიდა, ბ-ნო მსაჯულო...  
**მსაჯული:** როგორ თუ შეტვლომით?

**ბრალდ.** სწორეთ შეტვლომით, ბატონო! მე საფულეს ვეჭებდი, ხელში კი საათი მომიყვა.

**მსაჯული.** მიკვირს ღმერთმანი, განათლებული კაცი ხართ და როგორ შეცდით, რომ თქვენ ცოლს ბოთლიც სროლეთ.

**ბრალდ.** ბ-ნო მსაჯულო, თქვენ ჩემ ცოლს იცნობთ?..  
**მსაჯული.** არა...  
**ბრალდ.** მიტომაც ამბობთ მაგას. თქვენ რომ იცნობდეთ მას, გაგიკვირდებოდათ, რატომ ბოთლის მაგივრათ ჩაფი არ ვესროლეთ.

**ბრალდ.** ბ-ნო მსაჯულო, ძალიან ვეცადე ამ საქმისთვის პატიოსანი კაცი მენახა, მაგრამ ვერ ვიშოვნე.  
**მსაჯული.** თქვენ ორში ერთი სასჯელი მოგვკლით—ან ექვსი თვით ციხე, ან სამუშაო სახლი.

**მსაჯული.** უნდა გითხრათ, რომ ნამეტანი გარყვნილი კაცი ამოგირჩევიათ თქვენ თანამშრომლათ—ციმბირიდან ბარე ოთხჯერ არის გამოკეცული.

**ბრალდ.** უკაცრავათ, ბ. მსაჯულო, ძალიან ვეცადე ამ საქმისთვის პატიოსანი კაცი მენახა, მაგრამ ვერ ვიშოვნე.

**მსაჯული.** თქვენ ორში ერთი სასჯელი მოგვკლით—ან ექვსი თვით ციხე, ან სამუშაო სახლი.

**ბრალდ.** ეგ, როგორც თქვენ აღმატებულიებას ნებავს, ისე ვაღამიწყვიტეთ. განსაჯეთ თქვენ თავზე და ისე... ჩემო ბატონო.



დახეთ უბედურ პურიშევიჩის: იწყველის ბედსა და თან მიათრევს გოლოცინის გამოძეულ უესტსა.

**ჩაჩანაპი ძმის კალენდარი.**


პიზაში ცხოვრობდა მომრიგებელი მოსამართლე, რიჩარდო და კინციკა, კაცი უფრო დაჯილდოებული სულიერი მხარით ვიდრე ხორციელით. უნდა ვიფიქროთ, რომ იმას ეგონა თითქო ცოლსაც ართობდა და აინტერესებდა აგივე საქმე, რაც ქმარს: ის იყო შეძლებული კაცი და ვინაიღვან საშუალება ჰქონდა, დიდი ხანია რაც ეძებდა ცოლს, მაგრამ ისეთს, რომ ლამაზიც ყოფილიყო და ახალგაზდაც. მაგრამ თავის თავისთვისაც რომ მიეცა ისეთი კეთილი რჩევა, როგორსაც არა ერთხელ ამღვედა ხოლმე ის სხევებს, ასეთი ცოლის თხოვიდან მას უნდა ძალიან შორს დაექირა თავი. მისი საქმე მოეწყო: ვიღაც ლოტო გვალანდში მიათხოვა მას თვისი ქალიშვილი ბარტოლომეა — საუკეთესო და ცუგრუმელო გოგონა პიზისა, სადაც არა ერთს და ორს შეხედდებოდა ხელიკივით დღაკენიას ზ დაუდგომელს.

გაღიხადეს მდიდრული ქორწილი და მომრიგებელმა მოსამართლემ დიდის ამბით შემოიყვანა თავის ოჯახში ახალგაზდა ცოლი. ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა ჩაჩანაპი მოხუცი ქორწილის პირველ დამსვენებელს. ძალიან ხველი კაცი იყო, სუტი, როგორც იტყვიან ხოლმე, სული ბილით უკავიაო. გამსაყვანებელმა შრომამ ისე დაქანცა, რომ მეორე დღეს მის მოსაბრუნებლათ საქირა შეიქნა ღვინო, წამალი და სხვა საშუალებანი. აი, აქ კი ჩაუკვირდა ბატონი მსაჯული თვის ძალსა და ღონეს და უწინდებულად ზერეღედ აღარ ეკიდებოდა მას. სხვა გზა რომ აღარ იყო, ახლა კი დაუწყო თვის ახალ-გაზდა ცო-

ლს კალენდრის სწავლება, რომელიც ახლად მოსწავლე ბალებსაც თუ გამოადგებოდა (ეს კალენდარი ალბათ კ. თავართქილაძის შედგენილი იქნებოდა). იმის ახსნის თანახმად ერთი დღეც არ იყო წელიწადში, როცა ერთი უქმე კი არა, რამოდენიმე წმინდანის დღესასწაულიც არ იყო. უქმეების პატივ-საქვლად კი ცოლ-ქმარს, რასაკერვლია, უნდა ყოველ ძალღონით დაეცვათ წესი მარხულობისა. უქმეებს მოყვებოდა მარხვა-სინანულის დღეები. მას კიდე სხვა და სხვა წმინდა მოციქულების წინა დღეები, ამას დერთებოდა პარასკევი, შაბათი, უქმე ძალი კვირა, მთელი დიდ-მარხვა, შვიარის ამოსვლა და რა არ გინდა კიდე! ცოლ-ქმარის ლოგინში გამეუფდა იგივე ვადის გადადება და დროს გაქიანურება, როგორიც ხდება ხოლმე ჩვენს მშვენიერ სამოქალაქო საქმეების გადაწყვეტაში. საცოდავი ახალ-გაზდა ცოლის გულ-საკლავად, რომელსაც ძლივ-ძლიობით თვეში ერთხელ ნამცეციც თუ ხედებოდა, ასეთი ჩვეულება დაებედა ქმარს. ამასთანავე გაფაციცებით ადევნება თვალ-ყურს თვის ცოლს, რომ მისთვის არ აეხსნათ ისევე კარგათ, თუ რომელი იყო საქმის დღეები წელიწადში, როგორც ქმარი უნუსხავდა უქმე დღეებს.

აი, ერთხელ ზაფხულის პაპანაქების დროს ბატონი რიჩარდო წაბრძანდა დროს გასართობად თვის ერთ მშვენიერ მამულში, მონტე-ნეროს მახლობლად, რომ აქ სუფთა ჰაერში რამდენიმე დღე ეცხოვრა; თავისი მშვენიერი ცოლიც თან წაიყვანა. აქ, რომ რამე ესიაშოვნებინა ცოლისათვის, გამართა მან თევზზე ნადირობა. ამ ნადირობის საყურებლად წავიდნენ

ორი ნავით — ერთში ქმარი იჯდა მეტეფეებთან, მეორეში კი ცოლი და რამოდენიმე ქალი კიდე მასთან. ისე გაიტაცა იგინი ამ გასართობმა, რომ ვაიარეს რამოდენიმე მილი, თვისდა შეუქმნველად გავიდნენ ღია ზღვაში. იმ დროს, როცა მთელი მათი ყურადღება მიქცეული იყო თევზის ჭერაზე, უეცრათ გამოჩნდა ვენ-თქმული მეკობრის გემი, პავანინო და მარესი. იმან დაინახა თუ არა ნავეები, გამოექანა პირდაპირ მათკენ; თუმცა ნავეებმა დააპირეს თავის შველა, მაგრამ პავანინო მაინც წაიწია იმ ორ ნავთავან ერთს, სადაც ისხდნენ ქალეგი. მოატანა თვალი მსაჯულის მშვენიერ ცოლს და კიდევ აღარაფერი მოინდომა მისი დაბატონების მეტი ბან რიჩარდოს თვალ წინ, რომელიცამ დროს კიდევც მისულიყო. მან ასწია, შეაგლო თვის გემში მისი ცოლი და წაიყვანა. ვერ წარმოიდგენდა კაცი იმ გამწარებას, როგორც გამოიარა ამ დროს მსაჯულმა, რომელიც ქმარი რაა. იმასაც არ აკარებდა თვის საყვარელ ცოლს. განაცხადა მან საჩივარი ბოროტგამძრახველ მეკობრეებზე პიზაში და სხვაგანაც. მაგრამ ამოღ, ვინაიღვან არ იცოდა, ვინ იყო სახელდობრ, ვინც მოსტაცა მას ცოლი და არც ის იცოდა, თუ სად წაიყვანა. პავანინო კი თავის მხრით, რომ ნახა თუ რა გასაოცარი ლამაზია მოტაცებული ქალი, მეტის მეტი კმაყოფილი დარჩა თვისის ბედისა და ვინაიღვან მას ცოლი არ ჰყავდა, გადაწყვიტა, რომ ლამაზი არსება თან ყოლებოდა. ქალი ცხარე კრემლით სტიროდა, პავანინო კი სინახით ანუგეშებდა მას. რიედესაც დაღამდა, მეკობრე დარწმუნდა, რომ სიტყვით ნუგეშინის ცემა



კანონიკ მე ვარ და სამართალიც!



— თქვენ, ქალო, კეთილსამედობის მოწმობა უნდა მოგცეთ?—არასოდეს!

— ნება მიბოძეთ, გკითხოთ—რა მსახეზია.

—ის მიზეზი გახლავსთ, რომ მამაშენი და გაპონი ერთ სემინარიაში გაიზარდნენ მაშასადამე მამაშენი საეპუკო პირია და რა თქმა უნდა ამის შემდეგ—არც თქვენ იქნებით კეთილსამედო.

არ სჭირდა, საქმით შეუდგა ქალის გართობას: კალენდარი რათა ხანია დაკარგოდა მას და ამიტომაც სუყველა უქმედლე, მარხვა და სხვა კაი ხანია მის ნახსოვრობიდან გამოფრენილიყვენ. ამ რიგად ისე შეაქტია და გაართო მან ახალ-გაზდა ლამაზი, რომ სანამ მონაკოში მოაწევდენ კიდევ დაავიწყა თავისი მსაჯული ისე, როგორც მისი კანონები, კალენდარი, მარხვები და მშვენიერადაც შეეწყო პაგანიოს. პაგანიონომ მოიყვანა იგი თუ არა მონაკოში გარეშე მისა, როგორც დღისით ისე ღამით, როგორც სიტყვით, ისე საქმით არ აკლებდა ნუგეშს, კარგ პატივშიაც ჩააგდო და კიდევ ეპყრობოდა ისე, როგორც კანონიერ კოლს. რაოდენიმე ხნის შემდეგ ბატონ რიჩარდომდიაც მიახწია სმებმა იმის შესახებ, თუ სად იმყოფებოდა მისი ცოლი. აღარაფერი ისე არ უნდოდა მას, როგორც კოლის უკან დაბრუნება. ვინაიდან განაწ მან იცოდა, რომ სხვისი ხელით და

პირით არასფერი ვაკეთებდებოდა მისი სასარგებლო ისე, როგორც საკუთარი ღონით, თითვან წავიდა მონაკოში კოლის საძებნელით. მზათ იყო, რასაც ითხოვდენ, მიეცა და ვამეყვიდა იგი. თქმა და ქნაც ერთი იყო—ვამეგზავრა გემით მონაკოში. მივიდა — ქმარმა დაინახა კოლი, კოლმა კიდევ ქმარი. საღამოზე ქალმა უთხრა პაგანიოს, რომ დაინახა თვისი ქმარი და ისიც არ დაუფიცა, თუ რისი ჩადენა აქვს აზრად. მეორე დღეს დილით ბატონმა რიჩარდომ, ნახა თუ არა პაგანიო, გაეცნო ას ხელადაც დაუფეგობრდა; პაგანიონომ იი ისეთი სახე აჩვენა, თითქოს სრულიად არ იცნობდეს მას და მოუთმენლად ელოდა, ამა რას იზამსო. ამასობაში ხელთ იგდო მოხერხებული წუთი ბატონმა რიჩარდომ და აღერსიანი კილოთი აუხსნა პაგანიოს, თუ რისთვის მოსულა იგი აქ, სთხოვა—რა სახლად უნდა, მიიღოს, მხოლოდ თვისი კოლი კი დაუბრუნოს უკან. ამაზე მზიარულად უპასუხა პაგანიონომ.

— ბატონო ჩემო, თქვენი წინადადების საწინააღმდეგო მე არაფერი არ მეთქმის და კიდევ მოგახსენებთ მოკლეთ და მკაფიოთ: ექვ გარეშეა, რომ ჩემთან ცხოვრებს ვილაც ახალგაზდა ქალბატონი. თქვენი კოლია იგი, თუ ვისიმე სხვისი —ეგ მე არ ვიცი. დიდი ხანიც არაა, რომ მე ვიცნობ თვით იმ ქალს—ეს მას აქეთ, რაც იგი ცხოვრებს ჩემთან. თუ რომ თქვენ მართლა მისი ქმარი ბრძანდებით, როგორც ამბობთ, მე წაგიყვანთ თქვენ მასთან, ვინაილვან თქვენ მე პატიოსან და თავაზიან კაცათ მეჩვენებით და კიდევ ვარ დარწმუნებული, რომ იგი თქვენ ვიცნობსთ როგორც ქმარს. თუ რომ იგი ინებებს თქვენთან დაბრუნებას, მე მივიღებ იმ სახლადულს როგორსაც თვითან თქვენ დამინიშნავთ. თუ რომ იგი არ გამოგყვით, ქალის ხმარების ნებას არ მოგცემთ—იგი უნდა დარჩეს ჩემთან. მე, ხომ მხედავთ, ჯერ ასე ახალგაზდა ვარ და, რაღა თქმა უნდა, უარს არ ვიტყვი ისეთ ღამაზე ქალის დაბატონებაზე.

— გვიცავთ ჩემს სიყრმეს, რომ იგი ჩემი ცოლია, სთქვა რიჩარდომ. მიმოყვანეთ მასთან. აი, იმ წამსვე დარწმუნდებით—დამინახავს თუ არა, მყისვე შემომხევევა კისერზე. გთხოვთ აღსარულით თქვენი ნაბრძანები.

— კარგი და პატიოსანი, დაუკრა კვერი ჰაგანინომაც. შვიდენ ჰაგანინოს სახელში. გავიდენ დარბაზში, სადაც ჰაგანინომ დაუყოვნებლივ გამოიხმო ახალგაზდა ქალბატონი. იგიც გამოვიდა მდიდარ, რომ მამკაულით მორთული და მიესალმა ბატონ რიჩარდოს ისე, როგორც ოდნავ ნაცნობ კაცს, რომელიც ეწვია ჰაგანინოს. მსაჯული ელოდა, რომ ცოლი შეეგებებოდა მას აღტაცებით და კიდევ გაუკვირდა ცოლის ასეთი თავდაპირველი შეყრა, მაგრამ ეს მით აიხსნა, რომ მის თავზე დამტყდარმა უბედურებამ, რომელიც გამოცადა ცოლის დაკარგვით, ისე გამოსცვალა მისი სახე, რომ ცოლმაც ვეღარ იცნო. ამიტომაც მიმართა მან სიტყვით ქალს:

— ძვირად დამიჯდა, ჩემო კარგო ის თევაზობა. მე ისეთი ტანჯვა-წამება გამოვიარე შენი დაკარგვის ხნის განმავლობაში, როგორც არავის არ გამოუცდია. შენ კი ისე გულ-ცივად შემეგებე თითქოს და ვერც კი მიცანი. ვეღარ მიხვდი ვანა, რომ მე ვარ შენი რიჩარდი. მოცსულვარ მისთვის, რომ ამ კეთილ კაცისაგან გამოგიყიდა იმ სასწაულით, როგორსაც კი მოისურვებს მხოლოდ შენი თავი მიუბრუნო ჩემს გაციებულ კერას. ეს კაცი კიდევ ისეთი პატიოსანი გამოდგა, რომ იმ სასწაულსაც მჯერდება შენში, როგორსაც მე თვითან დავნიშნავ.

— თქვენ ამას მე მუუბნებით, მოწყალეო ხელმწიფევ? შეეკითხა მას ღიმილით ქალი. როგორც ეტყობა, მე თქვენ სულ სხვა გგონივართ, იმიტომ რომ ჩემ ნახსოვრობაში მე თქვენ აროდესაც არ მინახებხართ.

— რას ამბობ, ქალო! ჩაუქრდი... დამიკვირდი კარგად, ნუთუ ვერ იცნობ შენ რიჩარდი დიკინციას?

— უკაცრავად, ბატონო ჩემო! ჩემთვის სათაკლოა, რომ დიდხან და გაშტერებით ჩაგიკრიკოთ სახეში. უამისოდაც კარგად ვაძინე, რომ თქვენ ვერც გიცნობთ და არც მინახებხართ სადმე.

მაშინ კი გავილო გულში ბატონმა რიჩარდომ, რომ ქალს ეშინია ჰაგანინოსი და იმასთან ქმრის ცნობა ეწნელება; ამიტომაც მიმართა მან ჰაგანინოს და სთხოვა, რომ იგი დაეტოვებინა ქალთან საკუთრად მოსლამპარაკებლად. ჰაგანინოც დაეთანხმა მხოლოდ იმ პირობით, რომ მას ძალ და ძალ არ ეკოცნა ქალისათვის. მაშინ უთხრა ქალს, რომ იგი ცალკე

ოთახში გავყოლოდა სტუმარს, ემუსაიდნა მასთან და მიეცა ისეთი პასუხი, როგორსაც თვისი გული ეტყოდა. ამ რიგად რიჩარდი და ქალი გავიდენ ცალკე ოთახში და, დაჯდენ თუ არა, რიჩარდომ მოახსენა:

— ჩემო აულო, ჩემო სულო, ჩემო ოცნებაე და მზიარულებაე, ნუ თუ მართლა ვერ იცნობ შენს რიჩარდოს, რომელსაც თვისი თავზე მეტად უყვარხარ? ნუ თუ ეს შესაძლებელია? ნუ თუ ასე გამოვიცვალე მე? ჩემო თვალის ჩინო, ერთი მანაც ვაღმომავლე თვალი.

ქალმა ხმამალა ვადაინახავდა და, შეაწყვეტინა რა ლაპარაკი, უთხრა:

— თქვენც კარგად იცით, რომ მე მესხიერების ნიჭი არ დამკარგვია და მაშ ძალიან კარგდაც ვიცი, თუ ვინაა ჩემი ქმარი, რიჩარდი დიკინციას; მაგრამ როდესაც თქვენთან ვცხოვრობდი, თქვენ დაამტკიცეთ, რომ ძალიან ნაკლებად მიცნობთ მე; თუ თქვენ მართლა ქვეიანი კაცი ყოფილიყავით, როგორადაც მოგაქვთ თავი, უნდა მიხვედრილიყავით, რომ მე, ახალგაზდა ქალს, სიცოცხლით სასეს და ჯან-საღს საქმელ-სახმელს ვარდა და ტანისამოსს ვარდა ვეპირდებო კიდევ რადაც, რის შესახებაც ქალები მორცხობის გამო ვერ ამბობენ ვერასდერს; როგორ დააკმაყოფილეთ თქვენ ეს საჭიროება—თვითანაც იცით. თუ რომ კანონების გარშემო ტრიალი უფრო მოგწონდათ ვიდრე ცოლის ადერის—არ უნდა გეთხოვათ ქალი. მე თქვენ მსაჯულიადაც არ მიმანდით—მე თქვენ მეგონეთ რაღაც მოსიარულე კალენდარი, რომელიც სახსებით აღნიშნავს მარხვა-დღეებს, უქმეებს... ნუ დაივიწყებთ, რომ, თუ თქვენ მაგდენ უქმეებს უნიშნავდეთ მუშებს, რომელნიც დამიუშავებენ ხოლმე თქვენს ყანებს, რამდენსაც უნიშნავდით ჩემი პაწაწიკტელა ყანის დამმუშავებელს—თქვენ ერთ მარცვალ ხეობადას ვერ მოიხვეჭავდით. მაგრამ ღმერთმა შეიბრალა ჩემი ახალგაზდობა და მომივიღინა ეც კაცი. მე ვცხოვრობ მასთან ამ ოთახში, სადაც სიხმრადაც არ მოვეჭრენებო არავითარი უქმე დღე—მე ვამბობ, რაღა თქმა უნდა იმ უქმეებზე, რომელთა მეცხობითაც თქვენ, ღვთის მოყვარულიო ქმარო, გვერდზე მიადგებდით ხოლმე თქვენს ცოლს. ამ კარებში ცხვირს ვერ შემოყოფს ვერც შაბათი, ვერც პარასკევი, ვერც დიდ მარხვა გაუთავებელ-დაუსრულებელი; აქ დიდ და ღამე სულ მუშაობაა. რაღა შორს წავიდე—გუშინ ღამ ცისკრის არ დაერეკათ კიდევ, რომ ჩვენ უკვე საქმეს ვდგქით და ფიცხადც მიდიოდა. აი, ამისთვის მე მსურს, რომ ამ კაცთან დავრჩე და ვიმუშავო მასთან ერთად, მანამ ახალ გაზდა, სისხ-

ლით და ხორციით საცხე ვარ. ხოლო უქმეებს, მარხვა დღეებს, სინანულის დღეებს შევინახავ მაშინ, როცა მოხუცდებით. თქვენ კი დაბრძანდით შინ და იქ დაიცევით უქმეთ მარხვები და უქმე დღეებიც. ბატონ რიჩარდოს გულზე მოუქირა ასეთმა სიტყვებმა და, დადუმდა თუ არა ქალს; მოახსენა: ევა, საყვარელო ჩემო! აბა, რას ამბობ მაგას?! ნუ თუ არასფრად არ აფასებ შენი შრომების კეთილ-ხსენებას, სახელს, თვითან შენს პატიოსნებას და ნამუსს? ნუ თუ აქ დარჩენა გირჩენია და ამ კაცის საყვარლად გახდობა—ამ მომავლენებელი ცოდვის ჩადენა—პიხაში დაბრუნებას და ჩემს ერთგულ ცოლად ყოფნას. მოყირკლები, თუ არა მე ვაუკაცს, ხომ გამოგადგენს კარში შეურაცყოფილს; ჩემთვის კი მუდამ სასიყვარულო ცოლი იქნები არამც თუ იმიტომ, რომ ეს შეადგენდეს ჩემს განსაკუთრებულ სურვილს, არა—თვით კანონთადაც ჩემი ოჯახის დიასახლისი იქნები. ნუ თუ შენ მაგ თავაწახსნილ და უნაშუსო წადლისთვის დაპკარგავ პატივსაც, მეც—იმ კაცს, რომელსაც შენ სიცოცხლებზედაც მეტად უყვარხარ?! ევა, ჩემო ტკბილო იმედო, ნუ ამბობ მაგისთანა სიტყვებს. წავიდეთ ჩვენ ოჯახში; აი, ახლა, რა კი გავიგე; თუ რა გინდოდა, ყველ ძალ-ღონეს ვიხმარ, რომ მოსაყირკებლად გცე პატივი. ამისთვისაც შესცვალე შენი ვანურახებულება და გამომეყვი, იმიტომ რომ რაც შენი თავი წამართვეს, ჩემი ბედნიერება დაილუპა.

ამაზე ქალმა უპასუხა:

— ჩემს მეტს ჩემს ნამუსზე და პატიოსნებაზე ზრუნვა არავის არ შეეხება. რომ კიდევ უნდოდეს ვისმე, —ახლა გვიანდა; თუ რომ ჩემი შრომლები, როცა თქვენ შეათხოვდებდენ, იმისთვის არ ზრუნავდენ, მე ჩემის მხრით იმათი პატიოსნებისათვის და სახელცხვისთვის თავს აღარ ვიტყვ. თუ რომ მე დღეს მომავლენებელ ცოდვაში ვტრიალობ, ასევე გავატარებ ჩემს წუთის-სოფელს, რაც უნდა დამიკრებს მე ის; თქვენ კი ნუ იწუხებთ ჩემთვის თავს. მხოლოდ ერთს გეტყვით, აქ მე რომ მკითხოს, კაცმა, ჰაგანინოს ნამდვილ ცოლად გადავიქცი, პიხაში კი ჩემი თავი საყვარელი მეგონა, იმიტომ რომ იქ ჩვენი მნათობნი მთვარის „ფოზისის“ დროს შაიყრიდენ ხოლმე თავს რაღაც გეომეტრიულ ანგარიშების გამო, მაშინ როდესაც აქ ჰაგანინოსთან ჩემი საქმე სულ სხვაფერაა და ენებულები. თქვენ დაგიჯინებით, ვეცდები რომ შენი მოთხოვნილება დავაკმაყოფილო — მაგრამ რით შეგიძლიათ?... როგორც გეტყობათ, თქვენ ძალიან ცხენოსნათ გადაქცეულხართ ჩემი დაკარგვის

შემდეგ. წაბრძანდით და ეცადეთ, რომ ცოტათოდენი ხანი კიდე გააჩნალოთ ამ ქვეყანაზე: როგორ გიმავრებსთ ღეღამიწა, რაც თქვენ სუსტი და გამწვარი ხართ! მეტსაც მოგახსენებთ: თუ რომ ამ კაცმა როდისმე კიდეც გააძვევა, მე-ი მგონია, რომ მას ეს იმდენად არ აფიქრებს, რამდენათაც ის, რომ მე თვითონ არ დავტოვო, მაშინაც არ ვიახლებით თქვენთან; იმიტომ, რომ ლომონივით გამოგწუროს კაცმა, ერთი ლამაზი წვენიც აღარ გამოგივით. დიანხ, მეყო, რაც ხანი თქვენთან დავყავი; მაშინ მხიარულებას სხვაგან მოვძებნი. ხელახლა გიმეორებ, რომ ახლა ჩვენთვის არაა არც უქმე ღლე, არც მარხვა, არც სინანული... ამიტომაც მე აქ ვჩრები და თქვენ მიბრძანდით, თუ არა ახლავე ვიცი-ვლებ, რომ თქვენ გინდათ ძალ და ძალ ჩემი შეურაცყოფა!

ჩიორადომ თვალსა და ხელშეუა დინახა, რომ მისი საქმე წაგებულა; მხოლოდ ახლა მიხვდა, თუ რა დააშავა, როცა ახალ-გაზრდა ქალი შეირთო. მწუხარ და ყურებ-ჩამოყრილი გამოლოდდა ის ოთახიდან და ბევრ რაღაცეებს მოუყუა პავანოს, რისგანაც არაფერი არ გამოსულა. მეტი. გზა აღარ იყო — ცოლი იქ უნდა დაეტოვებინა და თვითონ კი პიხაში დაბრუნებულიყო. დიდს მწუხარებით თითქოს — გონივრად უნდა უგზო-უკვლოდ დაეთროდა ქალაქში. თუ ვინმე მიესალმებოდა, ან შეეკითხებოდა რასმე, ის მიუგებდა: ყოჩაღი დარდი-მანდი ღელაკაცისთვის უქმეები არ არსებობსო! ამის მეტს მისგან ვერაფერს გაიგონებდი. დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, რომ ის ვარდიცალა და პავანინომ, როგორც ეს გაიგო, იცოდა რა, თუ როგორ უყვარდა იგი მისი გულის ბანოვანსა, კანონიერ ცოლად გაიხიდა. მიუხედავად უქმეებისა, მიუხედავად მარხვისა ორთავენი მუშაობდნენ თავდადებულად, სანამ ფეხებზე დაიარებოდნენ და ძალიან მხიარულადაც ცხოვრობდნენ.

**კრიჭა.**

ვეძებ საქმროს კვიანს, ახალგაზრდას, არავითარ პარტიას არ ეკუთვნოდეს, კლუბში სიარული და ლოტოს თამაში არ უყვარდეს საღამოს ხუთი საათიდან ვარტე არ გადიოდეს. არცერთ ქალთან ნაცნობობა არ ჰქონდეს. არც მამა ყავდეს არც ღლეა, არც ძმა და არც და. მე თვით სათნოიანი ქალი ვარ. არ მიყვარს „ვეჩიერები“ და თეატრებში სიარული, ახალგაზრდა ყმაწვილებს არავის ვიცნობ, ხელსაქმე ძვირფასი ვიცი, პრანქიონა სხეებსავით არ მიყვარს. შობივეგი: ფულათ ხუთასი მანეთი მაქვს (კასის წიგნი ვეარის წერის ღლე ჩავბარებდა) წნით ორმოცდა რვა წლის გახლავართ. ადრესი: ქუთაისი ივანოვის ქუჩა.

**საიქიოს კარბაზა.**

(გადამღებული).

საიქიოს კარბაზე  
მიღვენ, მიჯარდენ მკვდრები;  
ეკითხებიან იმით  
რიგით კარის მსველები:  
— ვინ ხარ?  
— ინგლისელიო.  
— წაბრძანდი ჯოჯოხეთში.  
— შენ ვინა ხარ?  
— ფრანგიო.  
— ამოუღეკი გვერთში.  
— შენ?  
— ქართველი გახლავარ.  
— ყოფილხარ ჯოჯოხეთში.  
ახლა კი მოსიყენე —  
წაბრძანდი სამოთხეში!

**კრიჭა.**

ვისაც გინდა ადგილების შეძენა, მიბრძანდით დიდად განათლებულ დასამიძესთან. პირობის ხელწერილი არ გინდათ, სიტყვას ენდეთ, — თავის სიტყვას არ გადაუხვევს: რასაც იტყვის, კიდეც აგისრულებთ. მით უმეტეს არ გასტყვს თავის პირს, თუ ადგილები ხალხს კირდება. გაქირავებული ხალხი მის ძალიან ებრალება! ან კი სხვაფერ როგორ შეიძლება — მამისგან შეილი გავჯავა. ბუთსაგან ბუქნაქოვო, ნათქვამია.

**წ ი რ ი ლ ი.**

ბატონო რედაქტორო!  
მოხუცი სჯულის მამა  
რჯულზე წამახლისა  
მორწმუნე ხალხის ქრთამზე:  
ვარ ჯაშუში—გამგზავნი  
ცოც-ქეწყნებში ორისა,—  
მით არ წამდათ ღვთიერი  
ბუნება მაცხოვრისა.  
ასეთ ღვაწლსა და ამაგს  
დასცხე ზეიმი, ზარი,—  
იქნებ მებოძოს ჯილდოდ  
მე ვლადიმირის ჯვარი!

**ვერები.**

მოგილოცეთ „წითელ“ ვერცხს (ამაღლებამდი არ გვეიანება) და ისტურებთ, რომ გადარჩენოდეთ მშვიდობით —  
1) ტერ-აკოპოვის ნუესტროკას,  
2) კრუშევანის დაკურთხებას,  
3) მერკვილაძის ცილის წამებას და ქორებს,  
4) დაზარალებულთა დამხმარებელ სოზოვადოების იმევებს,  
5) ქვარ-ანის მეგობრობას,  
6) ქ-ნ. დემურის ცბიერებას,  
7) „გოქისთვის“ თავდადებულის „დანოსებს“ და დარბევას,

8) გოლოვინის წელში ტეხას, მუხლენის კეცას,  
9) ღუმეთელი სულის მამის საქციელს,  
10) ქოთურის „ნამესტნიკს“ ბრჯულებს და მათრახს,  
11) ზზიკის ნაქებნ ჯაშუშების „პრეტენზიას“,  
12) დიასამიძის პატიოსან სიტყვას, სპეკულაციას,  
13) გოგელიას რისხვას და მუქარას,  
14) ადამიშვილის „სისქნაი პოლიციის“ აგენტობას,

**გველის წიწილი.**

**ღეაქუზები.**

(საგანგებო.)

**ფოთი.** „სევერნოე ობშჩესტვოს“ მუშების ლიდერები — ფედერალისტები ერთობ ძაან შრომობენ. მათ შორის თავი ისახელა თავისი პოლიტიური მოქმედებით სოციალისტმა ე. ლოლუმამ. მუშები დიდს „ოვაციით“ უხედებიან ხოლმე მას ქუჩაში და სანახსოვროთ უგზავნიან „მწვანე ხელიკის თავს“ გულზე სატარებლად შემდეგის წარწერით: თვეში 105—107 მ. ვამეგირი თითო მის მუშას!


**პიბითურა.** ზდნოვიჩის თუმცა ორი წელიწადი ვადა კიდე აქვს „სიხედის“ გამგეობის თავმჯდომარეობისა, მაგრამ ახლავე უტრიან იწონწალს და შავი ქვის ტალახში გადავდებას უპირობენ. ძნელია მიჩვეულ „პოსტის“ მოშორება;

**ველიც ციხე** (კახეთი) კურთხეულ ჩვენს დროში კუბოებს დიდი ვასავალი აქეთ ველის ციხეში. **ოგანოვ საქულასაც** ეს აუღია ხელობად და დიდი ქარხანაც გაუღია, ნისიდაც იძლევა კუბოებს. პირველი კუმო დალაქიანთ გეომ შეუტყვევა, გადაიხადა 500 მანეთი და კიდე აქვს გადასახალი 500 მანეთი. უფრო იაფად განა იქნება კიდე კუმოს შექენა? ვისაც არ სჯერა ოგანოვის გულ-კეთილობა მკვდრებისადმი, შიაკითხოს გეოს. საექვლა, რომ ასეთ პირობებში იხიროს ქარხანამ.

**მულა.**

**ველის ციხე.** მამასახლისმა დარჩო ისაკოვმა მეტათ უცნაური ამბანი გამოიგონა ახალთაობის ყმაწვილების ციმბირისაკენ გასამგზავრებლათ. ამის წინეთ ვაზეთ „ლახვარში“ ეკალმა, მუშტმა და სხეებმა იმისთანა რამეები დასწერეს, რომ მამასახლისის ცხვირი ბოლი გაუვლიდა. ბვერიც ეცადა მაგრამ დამწერავების ვინაზა ვერ გაიგო. ეხლა ეს ხრიკი გამოიგონა: დამწერავებს საამხანაგო სსსამართლოში იწვევებს და ამ გვართა ჯავრის ამოკაა სურს, რასაკვირველია პოლიციელულათ. მაგრამ ეშმაკობა მალე შეუტყვევს და იმის სტვირზე აღარა ტლინკვენ.

**გველის წიწილი.**



ოცნება.



სახრჩობელასა ამასა თაყვანსა ვცემთ...  
და წმიდასა პაგრომებსა ვაღიღებთ!..



**კირილე.** თხუთმეტი წელიწადია რაც ამ ოხერ საბუღალრო კრუხათ დამსვეს და ჯერ არაფერი არ ეშველარა. შავი ქვის სააქციონერო საზოგადოებამ შიგ სამოცი კვერცხი ჩიზიწყო, მაგრამ ჯერ არც ერთი არ გამოჩეკილა. თვალი დაუდგა ზდანოვიჩისა: ერთი ორი წლის უკან მგონი კვერცხების მაგივრათ თავგები და დახედენ საბუღალროში!

გამომცემელი **თინა ბაქრაძე.**